

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2013 წლის იანვარის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2013 წლის იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 528 231.3 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 508 479.4 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 122.9 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 7 310.2 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით – 12 318.8 ათასი ლარი.

2013 წლის იანვრის თვეში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (508 479.4 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის გეგმის (1 771 118.8 ათასი ლარი) 28.7%-ი;

მათ შორის:

– გადასახადების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 636 860.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 449 021.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 27.4%; მათ შორის:

- „გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ შეადგინა 702 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 123 191.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 17.5%-ია; მათ შორის:
- „საშემოსავლო გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 384 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 106 036.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 27.6%;
- „მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (17 155.4 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (318 000.0 ათასი ლარი) 5.4%;
- პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე შეადგინა“ 907 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 315 757.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 34.8%-ია; მათ შორის:

- „დამატებითი ღირებულების გადასახადის“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 767 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 266 784.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 34.8%;
- „აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 48 973.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (140 000.0 ათასი ლარი) 35%-ია;
- პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 22 900.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 6 501.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 28.4%-ია;
- „სხვა გადასახადების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 4 960.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 348.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 47.3%.
- გრანტების პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 53 403.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 29 905.7 ათასი ლარი (რაც გეგმის 56%-ია), მათ შორის:
 - ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები 757.3 ათასი ლარი;
 - ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 29 062.0 ათასი ლარი;
 - სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 86.4 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში.
- „სხვა შემოსავლების“ პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 80 855.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 29 552.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 36.5%.
- 2013 წლის იანვრის თვეში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (122.9 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (9 000.0 ათასი ლარი) 1.4%. მათ შორის:
 - შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (45.0 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (8 400.0 ათასი ლარი) 0.5%;
 - არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (77.8 ათასი ლარი) შეადგინა პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (600.0 ათასი ლარი) 13%. მათ შორის:

– მიწის გადასახადის პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 600.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 76.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 12.7%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (შემოსულობა სესხებიდან) შეადგინა 7 310.2 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის საპროგნოზო მოცულობის (4 652.0 ათასი ლარი) 157.1%-ია.

„ვალდებულებების“ ზრდით მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 12 318.8 ათასი ლარი (რაც გეგმის – 197 551.5 ათასი ლარის 6.2%-ია), მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 812.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 000.0 ათასი ლარი) 2.7%-ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით (საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები) მიღებული იქნა – 11 506.3 ათასი ლარი (რაც გეგმის – 167 551.5 ათასი ლარის 6.9%-ია), მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 5 036.7 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 6 469.6 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 20 434.7 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებელი სსიპ-ს მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 2 131.6 ათასი ლარი, რომელიც „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2012 წლის 31 დეკემბრის №547 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტის შემოსულობებში აისახება „საქართველოს 2013 წლის

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2013 წლის იანვრის თვეში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები სულ 351.1 ათასი ლარი.

წინა წლების გამოყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებით მიღებული იქნა 4 711.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2013 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 332 393.6 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 332 053.9 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად – 339.7 ათასი ლარი, მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება“ – 311.9 ათასი ლარი);
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება“ – 27.8 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2013 წლის 1 თებერვლისათვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 345 338.9 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 345 035.5 ათასი ლარი, ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად 303.4 ათასი ლარი, მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება“ – 291.0 ათასი ლარი);
- „სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი“ – 12.4 ათასი ლარი).

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 12 945.3 ათასი ლარი (გეგმა - 212 041.5 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2013 წლის იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 508 479.4 ათასი ლარის მოცულობით (პირველი კვარტლის გეგმა 1 771 118.8 ათასი ლარი); გადასახდელებმა შეადგინა 479 923.8 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 1 833 066.8 ათასი ლარი); საოპერაციო სალდოს შესრულებამ შეადგინა 28 555.6 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა -61 948.0 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 8 173.5 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 173 731.7 ათასი ლარი); მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 122.9 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა 9 000.0 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ზრდით, შესრულებამ შეადგინა 8 296.4 ათასი ლარით (პირველი კვარტლის გეგმა 182 731.7 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს შესრულებამ შეადგინა 20 382.1 ათასი ლარი (პირველი კვარტლის გეგმა -235 679.7 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 31 დეკემბრის №549 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 2 194 363.7 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 1 998 608.5 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები – 195 755.2 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 28 დეკემბრის №1318 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 1 063 270.7 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 520 007.9 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 506 628.1 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 13 379.8 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 48.9%, ხოლო გეგმის 23.7%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2013 წლის იანვრის თვის მთლიან ხარჯებში შეადგინა 97.4%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 2.3%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვრის თვეში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 256 784.7 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 211 035.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 81 748.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 38.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 31.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 207 729.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 67 520.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 28 599.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 42.4%-ს და საგეგმო მაჩვენებლის – 13.8%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 60 514.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 34 778.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 18 930.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 54.4%-ს და გეგმის 31.3%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 11 726.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (27 574.6 ათასი ლარი) 42.5%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7 203.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 68 466.6 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ

შეადგინა 25 957.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 12 729.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 49%-ს და გეგმის 18.6%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმამ შეადგინა 375 565.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 66 317.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (68 917.7 ათასი ლარი) 96.2%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 17.7%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2013 წლის იანვრის თვეში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 64 609.4 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (65 708.3 ათასი ლარი) 98.3%-ია.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2013 წლის იანვრის თვეში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 148 147.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (391 506.3 ათასი ლარი) 37.8%-ს და საგეგმო პარამეტრის (499 242.3 ათასი ლარი) 29.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 364 235.0 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 119 423.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 32.8%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 86 752.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის (263 400.0 ათასი ლარი) 32.9%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 97 127.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 32 141.7 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (97 104.0 ათასი ლარი) 33.1%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 131 660.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 28 111.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 21.4% და ვალდებულების (28 853.9 ათასი ლარი) 97.4%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 364 762.9 ათასი ლარით, იანვრის თვეში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 210 059.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 123 453.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 58.8%-ს და გეგმის 33.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან, სხვადასხვა პროგრამების დასაფინანსებლად გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგი სახისაა:

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლების დასაფინანსებლად, პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 86 000.8 ათასი ლარი, „სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების“ მუხლიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 86 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 100%-ია; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების (მოსწავლეთა ვაუჩერის ხარჯი) დასაფინანსებლად პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 95 000.0 ათასი ლარი, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების“ მუხლიდან

გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 29 794.0 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (94 999.99 ათასი ლარი) 31.4%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით განისაზღვრა 182 731.7 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 12 260.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 8 296.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 67.7%-ს და გეგმის 4.5%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განესაზღვრა 86 700.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 10 792.6 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (6 996.7 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 64.8% და საგეგმო მაჩვენებლის – 8.1%.

„ფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 94 105.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 5 015.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 3 767.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 75.1%-ს და გეგმის – 4%-ს შეადგენს.

“ვალდებულებების კლების“ მუხლით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 84 459.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 36 218.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 28 020.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 77.4%-ს და გეგმის – 33.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 17 768.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 10 252.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (18 450.8 ათასი ლარი) 55.6%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ. დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების საგეგმო მაჩვენებლებს გრანტების კუთხით აღემატებოდა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს „იძულებით გადაადგილებულ პირთა თემის განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი)“ (კოდი 34 02 03, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 77.9 ათასი ლარი;
- ასევე პროექტი „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – მესამე ფაზა (kfw)“ (კოდი 51 11 05, მუხლი „სხვა ხარჯები“) – 415.4 ათასი ლარი.

დონორების დაფინანსებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტების საგეგმო მაჩვენებელს კრედიტების კუთხით აღემატებოდა:

– პროექტი „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია – მესამე ფაზა (kfw)“ (კოდი 51 11 05, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა“) – 528.2 ათასი ლარი;

– ასევე, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (kfw)“ (კოდი 51 11 06, მუხლი „ფინანსური აქტივების ზრდა - საშინაო სესხები“) – 64.9 ათასი ლარი.

ზემოთაღნიშნული პროექტების ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისად ჩამორიცხული თანხების ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 4 484.0 ათასი ლარი. მათ შორის:

– „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია“ – 2 234.7 ათასი ლარი;

– „რეგიონალური განვითარების პროექტის მეორე ნაწილი (იმერეთი)“ – 2 249.3 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2013 წლის 1 თებერვლისათვის შეადგინა 55.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2013 წლის იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 488 220.2 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 104 970.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (573 446.5 ათასი ლარი) 18.3%-ია. აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების

დაფინანსების – 18 305.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (113 540.9 ათასი ლარი) 16.1% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.4%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 18 857.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (60 442.3 ათასი ლარი) 31.2% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 18%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 115 793.0 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 32 486.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 28.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (488 220.2 ათასი ლარი) 6.7%-ი.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 202 362.7 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 46 947.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 23.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.6%; აღნიშნულ ხარჯებში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში შეადგინა 1 602.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 254.9 ათასი ლარი) 22.1%-ია; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 34 934.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (142 779.5 ათასი ლარი) 24.5%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (4 180.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (19 671.6 ათასი ლარი) 21.2%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 6 230.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 656.7 ათასი ლარი) 19.1%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 325 922.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 101 042.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 31%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (898.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (5 175.5 ათასი ლარი) 17.4%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (86 892.2 ათასი ლარი), გეგმის (124 118.4 ათასი ლარი) 70% შეადგინა; სათბობისა და ენერგეტიკის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 9 420.2 ათასი ლარის გამოყოფა.

გარემოს დაცვის ხაზით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 7 114.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 512.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 7.2%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით გათვალისწინებულია 21 325.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4 384.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 20.6%.

მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 16 700.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 3 969.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 23.8%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 147 485.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 29 643.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 20.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 6.1%-ი; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 8 231.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (1 690.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 20.5%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (3 918.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (16 818.0 ათასი ლარი) 23.3%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 2 551.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (9 537.0 ათასი ლარი) 26.7%-ია; სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 21 481.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (107 015.0 ათასი ლარი) 20.1%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 8 408.1 ათასი ლარით, რაც 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმიური მაჩვენებლის – 41 422.8 ათასი ლარის 20.3%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 6 207.6 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (2 060.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 33.2%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 178 248.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 36 907.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 20.7% და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 7.6%; აღნიშნულ ხარჯებში დიდია ხვედრითი წილი: ზოგადი განათლების დაფინანსების – 30 738.8 ათასი ლარი, რომელმაც შეადგინა გეგმის (122 945.9 ათასი ლარი) 25%; მათ შორის: საშუალო ზოგადი განათლების დაფინანსების – 30 738.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (117 195.9 ათასი ლარი) 26.2%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსების – 1 059.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (20 206.5 ათასი ლარი) 5.2%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით 2013 წლის პირველი კვარტლის გეგმით განსაზღვრულია 402 677.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 122 916.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 30.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 25.2%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 263 510.8 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 86 761.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 32.9%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 32 338.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (100 488.2 ათასი ლარი) 32.2%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 6 შემთხვევაში შეადგინა სულ 64.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 58.9 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2013 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით შეადგინა 5.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ 4 შემთხვევაში შეადგინა სულ 1 205.4 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 250.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2013 წლის 1 თებერვლისათვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 955.3 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 100 000.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხარჯი არ გაწეულა.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“

მუხლით გამოყოფილი იქნა 24 964.5 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 14 750.2 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 8 949.9 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 793.3 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 1 792.5 ათასი ლარი (გეგმა – 4 000.0 ათასი ლარი); ს.ს.ი.პ. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 4 938.4 ათასი ლარი, ხარჯი არ გაწეულა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 0.5 ათასი ლარი, ხარჯი არ გაწეულა; დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელების ორგანიზაციული კოდიდან ორმხრივი, რეგიონალური და რეგიონთაშორისო პროექტების დავალიანებების დაფარვის გეგმამ შეადგინა 10.0 ათასი ლარი, ხარჯი არ გაწეულა; kfw-ის ადგილობრივი ოფისის საოპერაციო ხარჯების თანადაფინანსებაზე (kfw) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 0.8 ათასი ლარი (გეგმა – 1.0 ათასი ლარი).

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 15 000.0 ათასი ლარი. აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად გამოეყო 12 393.3 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 12 393.3 ათასი ლარი), ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 176.6 ათასი ლარი.

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (გეგმა – 1 014.6 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 387.0 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო

დავალეებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 176.6 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2013 წლის იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.